



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, საბაკალავრო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
7 ოქტომბერი 2022 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი
15 ნოემბერი 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი Bachelor of Physical Medicine and Rehabilitation
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0915
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტ. გადაწყვეტილება: №30; 28.06.2016

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო მურვანიძე სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან, პროგრამის პირველი აკრედიტაცია განხორციელდა 2016 წელს (გადაწყვეტილება აკრედიტ. გადაწყვეტილება: №30; 28.06.2016). პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტისაგან. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 211 ECTS, პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შეადგენს 29 კრედიტს, ხოლო ინგლისური ენის კომპონენტი - 15 ECTS). პროგრამაში სპეციალური საგნები ინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებთან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს (გათვალისწინებულია პრაქტიკის 2 კურსი 8 კრედიტის მოცულობით (სულ 200 საათი). აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, შეესაბამება და აკმაყოფილებს სწავლის სფეროს კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე; ითვალისწინებს საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური, კლინიკური მეცნიერებების, წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნას, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ბაკალავრ-რეაბილიტოლოგიის როლის, ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპების გაცნობიერებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად განახორციელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და შეფასება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 1.2, 2.1, 2.2., 2.3., 2.4., 2.5, 2.6. 4.1. 4.2, 4.3, 4.4. სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2. სასურველია დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შესახებ არსებულ ინფორმაციაში კონკრეტული ფორმით იყოს აღწერილი თითოეულ შედეგზე გასვლის კრიტერიუმები.

1.2. სასურველია დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყოს შედეგების რუკა, სადაც მონიშნულია ცალკეულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა განხორციელების პროცესში სისტემატიურად ვითარდებოდა. ბოლო აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. საჭიროებიდან გამომდინარე, თეორიული მასალისა და თანამედროვე ინფორმაციის უფრო სრულყოფილი ათვისებისა და შეფასების ობიექტურობის გაზრდის მიზნით, ხდებოდა სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის მოდიფიცირება. კერძოდ, **შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მე-6 სემესტრში** პრაქტიკა 1 გახდა 2 კრედიტი – 50 საკონტაქტო საათი (ნაცვლად 6 კრედიტის – 150 საათი); 4 კრედიტი – დაემატა სასწავლო კურსი “ბავშვის განვითარების დარღვევები და აღდგენითი სტრატეგიები” 45 საკონტაქტო საათი – 15 ლექცია 30 პრაქტიკული

მე-8 სემესტრში – სასწავლო კურსი „დამხმარე საშუალებები რეაბილიტაციაში“ ჩანაცვლდა ახალი სასწავლო კურსით „ზრდასრულთა ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები“ – 4 კრედიტი, 45 საკონტაქტო საათი – 15 ლექცია 30 პრაქტიკული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას შეესაბამება ამავე უნივერსიტეტის "ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი მოამზადოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, ფიზიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში ფართო ცოდნით. პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც ფლობს სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებით, დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციის უნარებს და სცნობს ცოდნის განახლებისა და ეთიკური პრინციპების დაცვით საქმიანობის აუცილებლობას.

ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით შემუშავებული ამ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს დასაქმდეს, თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში ან/და გააგრძელოს სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია. ეს პროცესი მოიაზრებს, ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებულ სწავლებას, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში, საერთაშორისო კვლევებში სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერას, უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვას საერთაშორისო სასერთიფიკატო პროექტების განხორციელებას

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ და საჯაროა (დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მაგ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის კვალიფიკაციას და აღწერს იმ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი

და რეალისტურია. უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობა. მასში ასახულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

სწავლის შედეგი ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შესახებ არსებულ ინფორმაციაში კონკრეტული ფორმით იყოს აღწერილი თითოეულ შედეგზე გასვლის კრიტერიუმები. ასევე, სასურველია დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყოს შედეგების რუკა, სადაც მონიშნულია ცალკეულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასება, დანართი 1

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შესახებ არსებულ ინფორმაციაში კონკრეტული ფორმით იყოს აღწერილი თითოეულ შედეგზე გასვლის კრიტერიუმები.
- სასურველია დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყოს შედეგების რუკა, სადაც მონიშნულია ცალკეულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დოკუმენტს. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ“, ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გადაანგარიშების წესთან“; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსები შედგენილია ისე, რომ (მიზანი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, ფორმატი, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა) უზრუნველყოფილი იქნას კურსით გათვალისწინებული მიზნების, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევა. პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 24.02.2016 წ (ოქმი N 6, დადგენილება 30 (15/16), 24.02.2016). პროგრამის მიზანია - მოამზადოს შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის
--

ბაკალავრი, რომელსაც შესწავლილი ექნება: საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები; სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპები, ვადები, ჩვენებები და უკუჩვენებები; მოსალოდნელი გართულებები და რეაბილიტაციის თანამედროვე სტრატეგიები, სამედიცინო რეაბილიტაციის ფორმები, მეთოდები და ცალკეული მეთოდები; ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების ძირითადი კანონზომიერებები; ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დინამიური შეფასებისა და კორექციის მეშვეობით მისი აღდგენისა და გაძლიერების საშუალებები; სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო-რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარება; ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური რეზერვების აღდგენის ან დაკარგული ფუნქციის კომპენსაციის, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართული ოპტიმალური, ინდივიდუალური პროგრამების ფორმირების სტრატეგია.

კურსდამთავრებულს ასევე ექნება: მისი კომპეტენციის შესაბამისი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი; მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი; ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების უნარი, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად;

პრაქტიკული რეკომენდაციების რელევანტურად გამოყენების უნარი; ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასების უნარი დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში; სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის უნარი.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტების მრავალმხრივი მომზადების დონე განსაზღვრავს მათ ადგილს ოპტიმალურ შედეგზე ორიენტირებულ მულტიდისციპლინურ სამედიცინო გუნდში. წინამდებარე პროგრამა ქმნის შესაბამისი უნარებით აღჭურვილი, ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების საფუძველს, რომლებიც შეძლებენ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, წარმატებულ პრაქტიკულ საქმიანობას. პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე; ითვალისწინებს საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური, კლინიკური მეცნიერებების, წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნას, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ბაკალავრ-რეაბილიტოლოგის როლის, ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპების გაცნობიერებას. პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელია, მოცულობა - 240 კრედიტი, მოიცავს 8 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს. ჯამში საათების რაოდენობა შეადგენს 6000 სთ-ს. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შესაბამისობაშია „საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ“, ასევე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გადაანგარიშების წესთან“; პროგრამაში სპეციალური საგნები ინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებთან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს (გათვალისწინებულია პრაქტიკის 2 კურსი 8 კრედიტის მოცულობით (სულ 200 საათი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- სილაბუსები
- პროგრამის სტრუქტურა, დანართი 2

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, თითოეული სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმები, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა დონის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა გათვლილია თემატიკის მოცულობიდან გამომდინარე, მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს. სასწავლო კურსების თემატიკა აგებულია დარგის აქტუალურ პრობლემებზე. თითოეული კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და

უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, რომელიც ავითარებს პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • პროგრამის სტრუქტურა, დანართი 2
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა გულისხმობს პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კერძოდ, პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკა 2 სასწავლო კურსის სახით, რომელზეც გამოყოფილია 8 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სწავლის შედეგებთან და სწავლის საფეხურთან მიმართებაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციის ადგილობრივი და მოწვეული პედაგოგები. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კაბინეტი (კლასი), რაც სტუდენტებს აძლევს ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობით ისინი მჭიდრო კავშირში არიან აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. კლინიკური დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს შესაბამის კლინიკურ ბაზებზე, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი/რელევანტური სწავლისა და სწავლების მეთოდები. სასწავლო კურსის შინაარსისა თუ მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები - ვერბალური მეთოდი (ინტერაქტიური და მოდიფიცირებული ლექციები); პრაქტიკული მეთოდი (პრაქტიკული მეცადინეობები რეფლექციით), ლაბორატორიული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, ლიტერატურის დამუშავება; კვლევაში მონაწილეობის მიღება; რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (case study), როლური (პაციენტის და ექიმის როლების თამაში) თამაშები, სიტუაციური ამოცანები; სიმულაცია (კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით); კლინიკურ გარემოში სწავლება; კლინიკური პრაქტიკა; გამოცდილებით (experiential) სწავლება; რომლებიც სრულ შესაბამისობაშია სწავლების საბაკალავრო საფეხურთან და უზრუნველყოფენ როგორც ცალკეული სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების მიღწევადობას

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- პროგრამის სტრუქტურა, დანართი 1
- თვითშეფასების ანგარიში(პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007) და №3 (21.09.2009) ბრძანებებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული პრინციპებით. შეფასების სისტემა ტრანსპარენტულია, უზრუნველყოფილია კრიტერიუმების საჯაროობით, ცოდნისა და უნარების შეფასების რელევანტური მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე და ეფუძნება საერთო აკადემიური მოსწრების საშუალო მონაცემს. სტუდენტის ცოდნის და მიღწევების შეფასების სისტემა არის ღია, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ითვალისწინებს დარგის და სასწავლო კურსის სპეციფიკას, თავისებურებებს და მოიცავს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების შესაბამის ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს. პროგრამა სრულად იზიარებს და ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ შემდეგ მიდგომას: - შეფასების კომპონენტი განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების

ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

- შეფასების მეთოდი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალებაა/ებია (ლია/დახურული ტესტი, საკითხი, რეფერატი, დემონსტრირება, ჯგუფური ან პერსონალური (ინდივიდუალური) პრეზენტაცია, დისკუსიაში მონაწილეობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში, კლინიკაში მუშაობა, კლინიკური შემთხვევის განხილვა, ქუიზის შესრულება, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.);

- შეფასების კრიტერიუმი შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების კრიტერიუმი შეფასების ცალკეული მეთოდისთვის მინიჭებული მაქსიმალური და მინიმალური, დადებითი და უარყოფითი შეფასების ქულობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს.

პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. ამისთვის გამოყენებულია კონკრეტული გაზომვადი კრიტერიუმები, თავისი რუბრიკებით და ქულების გრადაციით.

